

გამოსახულება წარმოადგენს: „ქართული სპორტი“ — მსოფლიო აღმავლობის გზით“

გაზეთი „ლელო“ რედაქტორს

თქვენი გაზეთის 21 ნომერის ნომერი პირველ გვერდზე გამოქვეყნებული ვაზო ყიფიანის საუბარი „ლელოს“ კორესპონდენტთან და მუქი, მსხვილი შრიფტით გამოყოფილი სათაური, ინტერვიუს დიდ მნიშვნელობასა და რედაქციის, მეტრე თუ არა, მხარდაჭერაზე მიგვანიშნებს.

კითხვა-პასუხის დედაბარი თავიდანვე იკვეთება. პირველსავე პასუხში ვ. ყიფიანი ამბობს: „შემიძლია თამაში პროვოკაციის გამოვლენა, რომ როგორც სხვა დარგებში, ასევე სპორტში თვითმმართველობის პრინციპებით ჩამოყალიბდება. ეს იმას ნიშნავს, რომ სპორტის ყველა სახეობა, მართვის პრინციპებიდან გამომდინარე, მოიპოვებს სრულ სუვერენიტეტს და ავტონომიური გახდება დიქტატისაგან მისი განთავისუფლება. სპორტს ესაჭიროება სახელმწიფოსაგან ზრუნვა და არა დიქტატურა დაფუძნებული მართვა“. მეორე კითხვაზე პასუხში ვ. ყიფიანი აკონკრეტებს ძირითად აზრს და ამბობს: „სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტი ამ საკითხზე ერთადერთ, მაგრამ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს. დავუყვარდნოთ ელემენტარული ლოგიკას: თუ უმჯობესია, რომ სპორტის თითოეულ სახეობას უნდა მართავდეს შესაბამისი ფედერაცია და ის უნდა იყოს დამოუკიდებელი, თვითმმართველი ორგანო, მაშინ მართვის ზოგად პრინციპებში ოდნავ ჩახედული კაცისათვის ნათელია, რომ არ შეიძლება ჰყავდეს ზედგამოხრთველი გამომდინარე, ჩემი პირადი აზრით, სპორტსაკომისიის ფუნქცია აღარ რჩება“. მესამე კითხვაზე პასუხით ავტორი ავტორიტეტს მისცემს და, მოკლედ რომ ვთქვათ, სპორტსაკომისიის ნაცვლად, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს გვთავაზობს.

რაც შეეხება სხვა პასუხებს, მე ვეთანხმები ვ. ყიფიანს, მაგრამ ჩემი მიზანი ამჟამად პირველი სამი კითხვის პასუხებზე საკუთარი პოზიციის გამოხატვაა.

პასუხებმა ჩემზე, და არა მარტო ჩემზე, აკრობატიკის რესპუბლიკური სკოლის ყველა მწვრთნელ-მასწავლებელზე შემადარწმუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა. საქართველოს თერაპიულ და მასაჟურ-მედიცინულმა მწვრთნელმა და არა მარტო მათ, მთხოვეს აზრი გამოთქოვა.

იმის გამო, რომ პარლამენტის სესია მეორე დღეს, 22 ნოემბერს იწყებოდა, რომელსაც ვ. ყიფიანი სპორტსაკომისიის გაუქმებისაკენ მოწოდებდა (რის შემდეგაც, ცხადია, აზრის გამოთქმა შეიძლება დავგვიანებული იქნებოდნენ). სიჩქარე არ მაძლევდა ამომწურავი პასუხის საშუალებას. წერილის დაწერამდე სესია დამთავრდა და, თუმცა, მიკროფონით რამდენჯერმე გაისმა ხმა, რომ სპორტზე მსჯელობა მიმდინარეობდა, სესიამ ღმერთის წყალ-

ობით რაიმე გადაწყვეტილება არ მიიღო.

აქ კი გამართლდა ავტორის აზრი — „ახალი ზემოქმედების გადამდგმული ყველა პრაქტიკული ნაბიჯი გონივრულად მოზომილი იქნება“.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, პირდაპირ ვიტყვი: სპორტსაკომისიის გაუქმება დღევანდელ ეტაპზე მიზანშეწონილია.

მე არ ვაპირებ იმის მტკიცებას, რომ იგი ნაკლოვანებებისა და შეცდომების გარეშე, იდეალურად ხელმძღვანელობს საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას, მაგრამ უტახტეს ის არის, რომ თითქმის ყველა დარგში ჩავარდნილი ფონზე ქართულმა სპორტმა ან თუ დაკარგა უწინდელი ბრწყინვალება, წინააღმდეგობა და შედეგებს აღუბრუნებს. რაც შეეხება ფედერაციების დამოუკიდებლობას.

ვინ შეიძლება იყოს ამ სიკეთის მოწინააღმდეგე, მაგრამ დღეისათვის ისინი ორგანიზაციულად ისე არიან განმტკიცებულნი, რომ დამოუკიდებლად შეუძლიათ ყველაფრის მოგვარება? ვანა დღეისათვის იმ დონეზე ყველა დამსახურებულის ხელმძღვანელობს შეგნება, რომ ფედერაციის გადაწყვეტილებას დაემორჩილოს და შეასრულოს? ვანა სპორტის სახეობებს არ სჭირდება ურთიერთდაკავშირება და კორდინაცია? ვანა გამოსარიცხავია სპორტსაკომისიის მაკონტროლებელი ფუნქცია, რაც დღეისათვის არც თუ უმნიშვნელოა? და ბოლოს, ვანა ფედერაციებს დამოუკიდებელი ფინანსური არსებობა შეუძლიათ? ავტორი დასახელებს თუნდაც სპორტის ერთ სახეობას, რომელსაც სახელმწიფოს ფინანსური დახმარება არ ესაჭიროება?

ნუ ავკვებით ილუზიებს, ქვეყნის ინტერესებზე მაღლა ნუ დავაყენებ პირადულს, ყველა დავითით ჩვენი საქმე პირნათლად, მხარეში ამოვუდგოთ საქართველოს სპორტსაკომისიის და ფიზკულტურის ქართული სპორტის შემდგომი განვითარებისათვის.

მიხეილ გუგულია,

აკრობატიკის რესპუბლიკური სკოლის დირექტორი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ბატონო რედაქტორ!

„ლელოში“ ამ ბოლო დროს ბევრი ქვეყნდება ერთმანეთის საწინააღმდეგე აზრით და ალბათ, ამასაც გამოაქვეყნებთ, მაგრამ რადგან სიჩქარის გამო, იგი არ არის სრული, უმორჩილესად ვთხოვთ, არ შეგვეცოთ და უახლოეს დღეებში გამოაქვეყნოთ.

პატივისცემით მ. გუგულია, 22. XI. 1990 წ.

ჩვენი ერის მდიდარ, მრავალსაუკუნოვან სპორტის ისტორიას ღირს-შესანიშნავ თარიღად შეგორჩა 1920 წლის თებერვალი, როცა ქუთაისში პირველი ქართული სპორტული ჟურნალი „შეგარდენი“ იშვა. მართალია, რომისპირა ქალაქში ჟურნალის მხოლოდ ორად-ორი ნომერი გამოვიდა და შემდეგ მისი გამოცემის საქმე საქართველოს დედაქალაქში გადაიტანეს, მაგრამ ის ორი ნომერიც კი, რომელიც ქუთაისში დაიბეჭდა, ნათელ წარმოადგენს გვიქმნის ოცინი წლების კოლხეთის უძველესი ქალაქის სპორტულ ცხოვრებაზე.

ქართული პირველი ნომერი იწყება სარედაქციო წერილით, რომელიც მიმოიხილავს „შეგარდენის“ წარმოშობის ისტორიას, მის მიზნებს და ამოცანებს.

ჟურნალის რედაქტორის და საზოგადოება „შეგარდენის“ რედაქციის სოსო ასლანიშვილის წერილში, რომლის სათაურია „ადამიანის სხეული და ფიზიკური ვარჯიშობანი“, მართალია სწორი ფიზიკური აღზრდის დიდ მნიშვნელობაზე ადამიანის განვითარების განმტკიცების საკმე-ში.

საინტერესოა თბილისის ტანვარჯიშული საზოგადოება „შეგარდენის“ თავმჯდომარის ვ. ნიკოლაძის წერილი: „საშეგარდენო ტანვარჯიშის განაწილება“ (მეოთხე). ავტორი აღნიშნავს იმ დიდ პოპულარობას, რომელიც ტანვარჯიშმა მოიპოვა ჩვენი საუკუნის ვარიანტზე. უფრო მეტიც, მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში ტანვარჯიშული საქმიანობა ყოველდღიური ცხოვრების ნორმადაც იქცა. ვ. ნიკოლაძე წერს, რომ ევროპის ქვეყნებიდან ტანვარჯიშმა ოკეანე გადააერა და ამერიკის კონტინენტზე მტკიცედ მოიკმა და ფეხი. ამერიკის ტანვარჯიშში — კეთილშობილური სპორტის „შეგარდენის“ ნიშნებიცაა აგებული.

აქ მოვარჯიშო ცდილობს ასწიოს მანამდე მიღწეული ტანვარჯიშული რეკორდები. მართლაც, ამაში ამერიკელებმა ყველაზე ათასწრესი შედეგ წერილი ავტორი აღნიშნავს, რომ როგორც ამერიკული, ასევე გერმანული, ფრანგული და ბელგიური ტანვარჯიშში არაფრით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან და ტანის ცალმხრივ განვითარებას უწყობს ხელს. ახალგაზრდა მეცნიერი უპირატესობას შევადარებ ტანვარჯიშს ანტიკურ ტანვარჯიშს, რომელიც ხელს უწყობს კუნთების გამძლეობას, ხერხემლის გასწორებას და, რაც მთავარია, ტანმომავარჯიშეები ყოველ იღუბს თუ მოძრაობას ასრულებენ უშეცდომოდ, მიზნად ველოდ.

ქუთაისის „შეგარდენის“ ვარჯიშთა დ. ჯავრიშვილის წერილი „ტანვარჯიშული თამაშობანი ამნიშვნელობა“ ეხება სპორტის ამ სხეობის როლს მოზარდის სწორი ფიზიკური აღზრდისა და განვითარების საქმეში, ავტორი დასკვნის, რომ ახალგაზრდობა აქტიურად უნდა იყოს ჩაბმული ტანვარჯიშულ სექციებში, რაც განმრთვობის ნაღდი გარანტია.

ქუთაისში „შეგარდენის“ დაარსების საკითხს ეხება ამავე საზოგადოების მწვრთნელის კ. კაცაბაძის წერილი. იგი აღნიშნავს, რომ პირველი ქართული სპორტული საზოგადოება განსხვავდება ყველა სხვა, მანამდე არსებული სპორტსაზოგადოებებისაგან, რომელმაც მართლაც დიდი მისია იკისრა ხალხის გაჯანსაღებისათვის.

საყურადღებოა ჟურნალში მოთავსებული ვ. ნიკოლაძის მეორე წერილიც სათაურით „ქართულ საზოგადოებას“, რომელშიც ავტორი წერს, რომ „ევროპის და ამერიკის მიწებზე სახელმწიფოებში დიდძალ ფულს ხარჯავენ ხალხის გაჯანსაღებაზე“. შევცაბო, შევიცაბო, ფინეთში, გერმანიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში მრავლადაა ტან-სავარჯიშო ბანკები, დარბაზები და დიდებული სტადიონები. ყოველივე ეს ხალხის სამსახურშია და მოვარჯიშეთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს.

სამწუხაროდ, ვ. ნიკოლაძე სევდნარევი სიმართლით აღნიშნავს საქართველოს ზოგიერთ ქალაქში და რაიონში უსულგულო დამოკიდებულებას „შეგარდენისადმი“; არ კმარა ტანვარჯიშის დარბაზები, განივდინენ სპორტული ინვენტარის ნაკლებობას, უფრო მეტიც, აგრძელებს ვ. ნიკოლაძე: „ის მცირე რამ, რაც დღემდის მოგვეპოვებოდა, ამ არეულობის დროს განადგურდა და მოისპო. ასე დიდუბა საზოგადოებრივად ჩამოტანილი ფონის გამინახის საუკეთესო იარაღი. ინვენტარის სასწავლებლის და ბევრი სხვა საუკეთესო ტან-სავარჯიშო დარბაზები გადაკეთებულ და გამოყენებულ იქნენ სულ სხვა საჭიროებისათვის“.

წერილის დასასრულს ავტორი გულისტვივით აღიარებს, რომ საქართველოში არსებობს მეორე წესი „შეგარდენის“ ძალზე უკრძა, რადგან მას არ ჰქონდა სათანადო მორალური და ეკონომიური დახმარება. „შეგარდენი“ ქუთაისში კლუბისთვის საჭირო შენობის აგებასაც კი აპირებდა, ქალაქის ვაჟთა გიმნაზიის გვერდით, ცნობილი ინჟინრის ნიკო თუმანიშვილის შედგენილი ესკიზით უნდა აშენებულიყო საჭირო შენობა, მაგრამ უსასსრობის გამო არც ამ იდეას შეესხა ხორცი

პირველი ქართული ჟურნალი

და იგი ახალგაზრდა ტანმომავარჯიშეებისთვის მხოლოდ ოცნებად დარჩა.

„შეგარდენის“ დაარსებამდე ქუთაისში მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმე ჩრდილო იყო მოქცეული. უფრო მეტიც, სასწავლებლის უმრავლესობას არ ჰყავდა ფიზკულტურის მასწავლებელი, ხოლო ქალაქის მთელ რიგ სკოლებში ფიზიკური აღზრდა არც კი იყო შეტანილი სასწავლო პროგრამაში. ამ საკითხს ეძღვნება დ. ჯავრიშვილის წერილი სათაურით „ტანვარჯიშის საქმე ქუთაისის სასწავლებლებში“. რეალური სასწავლებლის, ვაჟთა ქართული გიმნაზიის, წმინდა ნინოს სასწავლებლის, ქალთა სასწავლებლის და მთელ რიგ სხვა სკოლებში „შეგარდენის“ ინიციატივით მოეწყო სპორტული დარბაზები და დაინიშნენ ფიზკულტურის ქართველი მასწავლებლები. მხოლოდ კლასიკურ გიმნაზიაში იყო ამ მხრივ საქმე დამაკმაყოფილებელი.

ქუთაისში ვრცელი წერილი უძღვნა ქართული ტანვარჯიშის ერთ-ერთი პირველი მასწავლებლის იოსებ ვაბაშვილის მსოფლიო, რომელიც 1919 წლის 27 აგვისტოს გარდაიცვალა. ნეტორიოვში ვითხოვლობთ: „ის ქუთაისში... პიონერი იყო. მისი ენერჯის და ნებაყოფლობის შედეგი იყო, რომ ქუთაისში პირველი დიდ შემიღეს, თუმცა ვიწრო მასშტაბით, შეგარდენული ტან-ვარჯიშობა. მუდამ დაუღალავი, მუდამ ხალისით, ენერჯით აღსავსე მიზნული ფიზიკური, მაგრამ ძლიერი სულით და ნებაყოფლობით, ახალგაზრდული სიმამაცით და აღფრთოვანებით ეკიდებოდა თავის საყვარელ საქმეს“.

მართლაც იოსებ ვაბაშვილის დიდი დამსახურებამ 1911-12 წლებში ქუთაისის რეალურ სასწავლებელთა ფეხბურთის გუნდის შექმნა, რომელიც ერთ-ერთი პირველი იყო ქალაქში.

ქუთაისში „შეგარდენის“ მეორე ნომერი დათარიღებულია 1920 წლის მაისით. იგი იწყება პ. მარგანიძის წერილით, რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას ეხება. ავტორი ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობისთვის აუცილებელ პირობად, ტანვარჯიშთან ერთად, მძლეოსნობას და ძალოსნობას მიიჩნევს. მისი აზრით, „მოსწავლეთა მეცადინეთა უნდა ხდებოდეს მოსწავლეთათვის წინასწარ შედგენილი პროგრამით“.

1920 წლის თებერვლის პირველ დეკლამში ქუთაისში პირველად გამოართა ახლად დაარსებული „შეგარდენის“ ტანმომავარჯიშეთა გამოსვლები, რასაც დიდძალი ხალხი დასაწყრებია. ვ. ეგნატაშვილი და სხვა ცნობილი სპორტსმენები კმაყოფილი დარჩნენ ქუთაისელი ქორომელებისა და ქაბუკების ასპარეზობით და ქუთაისშიც ვრცელი წერილი უძღვნა შეგარდენელ პირველ დიდ სპორტულ ზეიშს.

ახალსენაკის „შეგარდენის“ ვარჯიშთა ი. კიხიანა გულისტვივით აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ იმ პერიოდში სენაკის და ზუგდიდის მაზრებში „შეგარდენი“ გერის რომ იყო და არაფერი კეთდებოდა მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღებისათვის. არ იგრძნობოდა ადგილობრივი დახმარება.

ქუთაისში „შეგარდენთან“ არსებული ფეხბურთის და ველოსპედიის წრეების საქმიანობას ეხმაურება ნ. დარბაშვილის, ვ. ლეჟავას და ვ. აბზიანიძის წერილები. ირკვევა, რომ სპორტის ამ საინტერესო სახეობების წარმომადგენლებს შეეპირებებისას მაყურებლები გულთბილი ოვაციებით ხვდებოდნენ.

1920 წლის 9 მაისს ქუთაისში „შეგარდენმა“ მორიგი გამოსვლა მოაწყო. აღნიშნული სპორტული ასპარეზობის მიზანი ის იყო, რომ საზოგადოებისთვის გაცნობოთ თუ რა შედეგს მიადრეკს ტანმომავარჯიშეობა და სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლებმა მოკლე დროის მანძილზე, ამასთან დაკავშირებით მ. გორგაძე წერს: „პირველი ნომერი იყო უმცროსი ქალების ვარჯიშობა ალმებით, რაც სრულიად დამაკმაყოფილებელი გამოდგა, ვინაიდან პატარა ბავშვებისგან მეტის მოთხოვნა შეუძლებელია, შემდეგ მოჰყვა უმცროსი ვაჟების ვარჯიშობა... რაც შეეხება უმცროსი ასაკის ქალების და ვაჟების ტანვარჯიშულ თამაშობას, მხიარულად ჩატარდა და საზოგადოების ინტერესიც გამოიწვია“. ავტორი აღნიშნავს მოზარდი ასაკის ქალების და ვაჟების ვარჯიშობებს სხვადასხვა ტანვარჯიშულ იარაღებზე, რაც მაყურებელთა ინტერესს იწვევდა. ასევე საინტერესოდ ჩატარდა ველოსპედიის ასპარეზობაც. წერილის დასასრულს მ. გორგაძე გამოთქვამს რწმენას, რომ ქუთაისის „შეგარდენი“ მწვრთნელის — დ. ჯავრიშვილის ხელმძღვანელობით ხელს შეუწყობს მისი რიგების ზრდას და ახალგაზრდობის განმრთვლობის განმტკიცებას.

ქუთაისში „შეგარდენი“, რომელიც დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, დიდ დახმარებას გაუწევს ყველას, ვინც დაინტერესებულია ქართული სპორტის წარსულის შესწავლით. რაც მთავარია, ქუთაისის ორივე ნომერი თვალსაჩინო წარმომადგენს ქუთაისის მდიდარ სპორტულ ცხოვრებას და მის ფურცლებზე საინტერესო მასალებს იხილავთ დასავლეთ საქართველოს რეგიონის სპორტულ ცხოვრებაზე. მითუმეტეს, რომ 20-იანი წლების ქართული სპორტის ამ სახეული ლოკუმენტებით, საჭირო ოფიციალური მასალებით თუ ქუთაის-გაზეთებით განებივრებულები არა ვართ.

ქუთაისში „შეგარდენმა“ კი მართლაც ნათელი კვალი დააჩნდა ქართული სპორტის ისტორიას.

ზურაბ ჯაბაბაძე

სტადიონური სპორტული კლუბების ეროვნული ასოციაცია ქალას იკრებს

გაიშარბა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების ეროვნული ასოციაციის I კონფერენცია.

ასოციაციის დაფუძნების შემდგომ განვილი პერიოდში გაწეული მუშაობისა და მომავლის ამოცანების შესახებ ინფორმაციებით გამოვიდნენ ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ა. აბესაძე და აღმასრულებელი დირექტორი გ. მძეღური. კონფერენციანზე საქმიანობის წინადადებები წამოაყენეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტული კლუბის თავმჯდომარე ოთარ მიმინოშვილმა, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ფიზიკურის კათედრის გამგე მ. აბულაძემ, თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის ფიზიკურის ხელმძღვანელმა ნ. გვოშიძემ, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტ-

კლუბის თავმჯდომარე მ. ათაბეგოვა და სხვებმა. კონფერენციამ დაამყარებინა რესპუბლიკის ცენტრული რეგიონების საშუალო-სპეციალური სასწავლებლების წარმომადგენლების წინადადება, ასოციაციაში მათი სპორტული კლუბებისა და ფიზკულტურის კოლექტივების გაწევრიანების შესახებ. შეიტანეს შესაბამისი ცვლილებები წესდებაში. ამერიკიდან ასოციაცია გააერთიანებს როგორც უმაღლესი სასწავლებლების სპორტულ კლუბებს, ისე საშუალო-სპეციალური სასწავლებლების სპორტულ კლუბებსა და ფიზკულტურის კოლექტივებს.

კონფერენციამ დაამტკიცა ასოციაციის სამუშაო პროგრამა 1990-1992 წლებისათვის, განიხილა სხვა საკითხები.

მ. ნინუა

ინფორმაცია

ანაპარა თურქეთის დედაქალაქში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში ახალგაზრდებს შორის, ამ ტურნირში ორმა ქართველმა ათლეტმა საპროზო ადგილი დაიკავა: თამაზ

ლისელ თამაზ სააკაშვილს ვერცხლის მედალი ხვდა 86 კგ წონის კატეგორიაში, მის თანაქალაქელ ჯონდო დაბურუნაშვილს — პრინჯაოს ჯილდო მძიმე წონაში. გამარჯვებულია შორის არიან ვლადიკავაზელი ანატოლი ლარიუკოვი (71 კგ) და ტალინელი ინდრეკ პეტრელსონი (95 კგ).

თბილისის II საერთაშორისო ტურნირი პართულ ზიდაობაში

ნელს მებო, მიღრა შარშან

მოუთმენლად ელოდნენ სპორტის მოყვარულნი ჩვენი ეროვნული საუნჯის — ქართული ჰიდაობის მეორე საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც ადგილობრივი ფალანგების გარდა, უცხოელი მოქალაქეებიც იასპარეზებენ.

დან იღებს სათავეს. საქართველოს ქალაქებსა თუ სოფლებში, არც ერთი დღესასწაული არ ჩაივლიდა ისე, რომ არ აყვარებულიყო ომახიანი საქადაო... დღეს ჩვენი ერის ეს ლამაზი ტრადიცია მსოფლიო ალიარებისთვის იბრძვის, თუმცა, ნამდვილ

ალიარებამდე დიდი დროა დარჩენილი და ბევრი საკითხი მოსაგვარებელია.

ქართული ჰიდაობის მეორე ტრადიციული ტურნირს წინ უძღოდა პრეს-კონფერენცია, რომელიც სპორტის სასახლეში გაიმართა სტუმრებს მიესალმა და ჩამობრძანებისთვის მადლობა გადაუხადა საქართველოს სპორტსახლის თავმჯდომარის მოადგილემ რევაზ აიფურაძემ. შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, სახელოვანმა ფალანგმა ვახტანგ ბალაძემ დამსწრეთ აუწყა, რომ შარშანდელ ტურნირში ორი უცხო ქვეყნის გუნდი მონაწილეობდა, წლეულს კი ხუთი ქვეყნის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ. ასე რომ, მონაწილეთა რიცხვი ერთიორად გაიზარდა. მანვე აღუთქვა მონაწილეებს, რომ მსაჯთა მომსახურების დონე უმაღლესი იქნება. უხევეთის, აზერბაიჯანისა და სასომხეთის დელეგაციების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ თბილისში მათ არავითარი პრობლემები არ შექმნიათ: პირველი, ხაზი გაუსვეს გულთბილ მასპინძლობას და იმ მეგობრულ ატმოსფეროს, რაც მათ აქ დახვდათ.

დილით დაბალი წონის მოქიდავეთა შერკინებები გაიმართა. პირველ წყვილს — თბილისელებს შოთა დორეულსა და გოგი მენთეშაშვილს აშკარად დაძაბულობა ეტყობოდათ, ორივე მოქიდავე შებოქოლად ვრძობდა თავს ხალიჩაზე. უფრო მტკიცე ნერვები შოთა დორეულს აღმოაჩნდა და ქულეებით გაიმარჯვა (56 კგ). საერთოდ, დღის შეხვედრებში გვინდა გამოვიყოთ ახმეტელი კახა ლუზარაულისა და აზერბაიჯანელი ნაზიმ რასულოვის შერკინება — კახამ „დივიწყა“ სტუ-




მარ-მასპინძლობა და პირველსავე წამებზე შეუტია მეტოქეს — ჯერ სამი ქულა აართვა, მერე კიდევ ორი ქულა შეიმატა; 2 წუთისა და 17 წამის შემდეგ კი, როდესაც ანგარიში 8:0 იყო, კახამ შესანიშნავი კისრულით წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

ამ დღეს გამარჯვება. ეს გახლდათ იაპონელი მასპინძელი (64 კგ), რომელმაც ზაზა პატაშვილი დაამარცხა. თავიდან იაპონელმა მოქიდავემ დაკარგა ქულა, მაგრამ შემდეგ გამოსწორა მდგომარეობა, სიმოქმედლა ლალად, თავისუფლად, თამამად ასრულებდა ილეთებს და 10:1-ით დაასრულა შეხვედრა თავის სასარგებლოდ.

სალამოს მოეწყო ტურნირის საზეიმო გახსნა, შემდეგ კი გაგრძელდა შეხვედრები მომდევნო (72, 78, 84, 90 და მძიმე) წონის კატეგორიებში.

სურათებზე: ტურნირის ეპიზოდები. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



დავით ხიფიანი:

„ჩვენი ამოსანაა ფიფა-ს ნავრობა“

თბილისის „იბერიის“ მთავარ მწვრთნელისგან აღებული ეს ინტერვიუ გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ ამ დღეებში გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი შემცირებებით. ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ გაზეთის კორექტორდენტის დ. დავითაშვილის მიერ მოწადიებულ ამ ინტერვიუს მთლიანად.

იოდში ჩემმა კოლეგებმა: რ. ძოძუაშვილმა, ვ. გუცაიევმა, ნ. აკობიამ და ი. გორგოშიძემ ჩინებულიად ვაართვეს თავი თავიანთ მოვალეობას, რისთვისაც მათ დიდად ვემადლიერებ.

როგორ აფასებთ განვლილ ჩემპიონატს?

— თუ ობიექტურნი ვიქნებით, ვიტყვი, რომ შეცდომები თავიდან ვერ ავიცილეთ და სხვაგვარად არც შეიძლებოდა: საქმე ჩვენივეს ახალი გახლდათ, ასეთი მასშტაბური შეჯიბრების ჩატარებისა და ორგანიზაციის გამოცდებზე არ გვექონია, მაგრამ ეს საქმეც გამოსწორდება. მოგვიწევს წყნარ ვითარებაში გავეანალიზოთ განვლილი ჩემპიონატის შედეგები; მე კი ვაგვიზიარებთ ჩემს მოსაზრებებს, ასე ვთქვათ, ცხელ კვალზე. უმთავრესი ამოცანაა, ჩემი აზრით, მდგომარეობს სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ხარისხობრივ გაუმჯობესებაში. საქართველოში მდებარეობს გამოცდის მიზეზი ფეხბურთელებისა და მწვრთნელების მიზრობა, ვიბრძოლოთ ფეხბურთის სისუფთავისთვის, ვიბრძოლოთ მოთამაშეთა უდისციპლინო საქციელს მინდობრზეც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. მაგრამ მთავარი ისაა, რომ საშუალება მივცეთ ახალგაზრდა, პერსპექტიულ ფეხბურთელებს შეიძინონ საერთაშორისო შეხვედრათა გამოცდილება, წინააღმდეგ შემთხვევაში მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებით. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ საიმისოდ, რომ საქართველოში მოეწყოს საერთაშორისო ტურნირები არა მარტო ევროპაში, არამედ აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ნამდვილ საერთაშორისო საფეხბურთო ცხოვრებაში.

ამჟამად ამის შეწყობა არაა ახლა, რა არის საქარო, თქვენ აზრით, ხაზინად, რომ ახეთი შეხამლებლობები ხვალ გამოვიჩინდები?

— ჩვენი მთავარი ამოცანაა ფეხბურთის საერთაშორისო ფეხბურთის წყვეტა. საკითხი ხაზინად ჩემი ჩემპიონატში დამრუნებია თა-

ობაზე საქართველოში არც კი განხილულა და, მიუხედავად ამისა, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის საბჭოს პლენუმის გადაწყვეტილება, პირდაპირ უნდა ვთქვათ, მეურაცხმყოფელია. ყველასთვის გასაგებია, თუ რატომ კეთდება ეს. ზოგიერთებს სურთ, ხელოვნურად მოახდინონ ასეთი იზოლაცია, რათა დაგვსაჯონ დამოუკიდებლობისადმი სწრაფისთვის. ჩვენი სურვილია ვითანამშრომლოთ, მაგრამ კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებთ დისკრიმინაციის წინააღმდეგ. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია აშკარა მონოპოლისტია, სპორტული ფუნქციონერები კი მოქმედებენ ძველი, ძალისმბერი მეთოდებით. ჩემთვის გაუგებარია, რა უფლებით უკრძალავს ფეხბურთის საქმიანო ფედერაცია ხუთმილიონიან ხალხს ჰქონდეს თავისი საერთაშორისო კონტაქტები, ხელს უშლის ჩვენი გუნდების საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრებსაც კი.

რასაკვირველია, არ შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველო ჩემპიონატებში ხანგრძლივმა მონაწილეობამ არაფერი მოგვცა. ბუნებრივია, ჩვენ ვიმედით გამოვდივართ, ვიზრდებოდით, ბევრი რამ ავითვისეთ, ვიმეორებ — ჩვენ ვისწრაფოდით კონტაქტებისკენ, მაგრამ თანაბარ საფუძველზე, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ კი თავისი საქციელით უპატივცემულობა გამოამჟღავნა არა მარტო ქართველ ფეხბურთის, არამედ მთელი ქართველი ხალხის მიმართაც. გაისად, მისში, შესრულდება 10 წელი თბილისის „დინამოს“ გამარჯვებულან ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. ამ დღისთვის გვინდა მოვაწყოთ საერთაშორისო ტურნირი, მაგრამ, თუ მომავალშიც ასე შეგვიშლიან ხელს, ალბათ, ამ იდეას შესრულება არ ეწერება.

ამაზენ, რომ თქვენ მრავალჯერ მოგმართეს წინადადებით, გადახუდაყავით სხვა, საბჭოთა თუ უცხოეთის კლუბებში. იყო თუ არა ეს ახე?

მართლაც, წინადადება მრავალი იყო. ნუ იფიქრებთ, რომ ეს არის ხმამაღალი სიტყვები, მაგრამ მე აღამიანურ მოვალეობად მიმანჩია, ვემსახურო საკუთარ ხალხს, საკუთარ პარტეისს და არ ვიმოგზაურო სხვადასხვა გუნდებში ახლა, რატოა სიმძულეები გვაქვს, გუნდიდან წასვლა ყველაზე ადვილი საქმეა, მაგრამ ეს არ იქნებოდა პატიოსანი, ვაფაკურო გადაწყვეტილება.

დიდი ანგარიშით

ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მატჩი საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილე უმაღლესი და მეორე ჯგუფების ნაკრებ გუნდებს შორის.

შეხვედრა უმაღლესი ჯგუფის ფეხბურთელთა სრული უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით — 7:0 დამთავრდა. გუნდების შემადგენლობა: უმაღლესი ჯგუფი: ჩხეიძე, ინალიშვილი, ცხადაძე, ჭელია, ტყეშელაშვილი, რევიშვილი, ქეცბაია, ცომაია, კაპარავა (დარსე-

ლია), გოგრიჭიანი (ჭულელი), ბიგვაია, მეორე ჯგუფი: დინამიჩია (პაქსაშვილი), ფოფხაძე, ფიფია, ჩანთელი, კორციკაშვილი, გოგოლაძე, ბანძელაძე, ნოღია, სირაძე, ქიქელაძე (ქობულაძე), კვიციანი (წულაია).

ბურთები გაიტანეს: ფიფიამ (საკუთარ კარში), გოგრიჭიანმა, კაპარავამ, ქეცბაიამ, ბიგვაიამ, ჭულელმა, რევიშვილმა (11-მეტრიანი).

წაგზარ შვანიძე, „ლელოს“ ხაკ. კორ.



უცხოეთის ფახაურის ამგაგი

ბურინი. იტალიის საფეხბურთო კლუბ „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობამ 25 მილიონი ლირით (დაახლოებით 20 ათასი დოლარი) დააჯარიმა თავისი მოთამაშეები. ხულოლი სეზარი და პაოლო დი კანო, რომლებიც იტალიის ჩემპიონატის მე-9 ტურის მატჩში „რომასთან“ გააძევეს მინდვრიდან. სეზარმა, დი კანომ და „რომას“ მცველმა სეზინო ნელამ წითელი ბარათები დაიმსახურეს იმისთვის, რომ ჩხუბი წამოიწყეს და მასში ორივე გუნდის სხვა მოთამაშეებიც ჩაითრიეს. მუშტი-კრემში მონაწილეობდა „რომას“ კაპიტანი ჯუზეპე ჩანინი, მაგრამ იღბლად, მსაჯმა ეს ვერ შეამჩნია, ვინაიდან ამ დროს სხვებს აშველებდა.

მინდვრიდან გაძევებულ მოთამაშეებს მოვლით დისკვალიფიკაცია რამდენიმე მატჩით იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ადისციპლინის კომისიის მხრიდან.

კოშკანაშვილი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში თუგოსლავიელებთან მარცხის შემდეგ (0:2) სამამ მოთამაშე უპარო განაცხადა

ისამანოს დანიის ნაკრების შემადგენლობაში. 28 წლის იან ბარტრაშმა („ბაიერ“ გფრ) აღნიშნა, რომ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის იმედი არა აქვს, ამიტომაც ურჩევნია თავისი ადგილი ახალგაზრდებს დაუთმოს. მიქაელ ლაულრუშმა („ბარსელონა“, ესპანეთი) განაცხადა, რომ დაილოლა ფეხბურთისკენ, ხოლო მისმა უფროსმა ძმამ ბრაიანმა („ბაიერნი“, გფრ) დაუთვარავად თქვა, რომ პატივს არ სცემს ნაკრების მწვრთნელს რ. მელერ-ნოსტენს.

ამ ვარსკვლავების დემარშმა განგაში გამოიწვია დანიის საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელოუმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ბაში. იგი აღიარებს, რომ ნაკრები და იუგოსლავიელებთან მარცხის შემდეგ საკურო განხა სრულიად ახალი გუნდის შექმნა.

მადრიდი. „რეალის“ პრეზიდენტმა რამონ მენდოსამ შესთავაზა ამ კლუბისა და ესპანეთის ნაკრების ყოფილ მოთამაშეს ალფრედო დი სტეფანოს ჩაიბარება გუნდის უფროსი მწვრთნელის პოსტზე. ა. დი სტეფანომ ამ პოსტზე უნდა შეცვალოს (სულ ახლახან დათხოვნილი) ჯონ ტრუპაი, რომელსაც ბრაილად ეწევა „რეალის“ წარუმატებელი სტრატეგი მიმდინარე სეზონში (5 გამარჯვება, 3 ფრე, 3 წაგება). „რეალი“ ესპანეთის ჩემპიონატში „ბარსელონას“ ახლა 5 ქულით ჩამორჩება.

როგორც ესპანეთის ტელევიზია იუწყება, ა. დი სტეფანო ბოლო ხანებში საფეხბურთო კონტრაქტორად მუშაობდა, იგი დათანხმდა მწვრთნელობაზე, მაგრამ მხოლოდ შემდგომ სეზონიდან. როგორც ამის სადავტო იუწყება, ა. დი სტეფანო უბრალოდ იტალიის ნოსტრად და მსაჯის „რეალი“ მწვრთნელად დანიის გუნდის მსაჯად დატოვდა. გარკვეულ დროს იტალიის ნოსტრად და მსაჯის „რეალი“ მწვრთნელად დანიის გუნდის მსაჯად დატოვდა.

მატჩი მსოფლიო პირველობაზე



ბასპაროვის ინტერვიუ შერნალ „მეტროპოლი“

დაიწყო „პაროული ნახევარი“

ლიონის კონგრესების სასახლეში მოეწყო მოქალაქე ვაჟთა მსოფლიო პირველობის მატჩის მეორე ნახევარის გახსნის საზეიმო ცერემონიალი. როგორც იცით, პირველ ნახევარში, რომელიც ნიუ-იორკში გაიმართა, უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიადგინა — თორმეტ პარტიამ კასპაროვს და კარპოვს თითოეული გაიმარჯვეს, დანარჩენი შეხვედრები კი ყაბიშით დასრულდა.

მოქალაქე ვაჟთა საფრანგეთში საკმაოდ დაძაბული ვანრიგი ელით. პარტიები გაიმართება ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით, დანარჩენი დღეები განკუთვნილია გადაღებული პარტიების დასამთავრებლად, პარასკევი კი დასვენების დღეა.

გუშინ ლიონის კონგრესების სახლის მთავარ დარბაზში გაიმართა გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩის „ეკვოპული ნახევარის“ პირველი პარტია.

„რას იტყვის რობერტ ფიშერი, გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის ესოდენ სუსტ პარტიებს რომ ნახავს?“ ამ კითხვას ხშირად სვამდნენ მსოფლიო პირველობის მატჩზე დამსწრე დიდოსტატები. ამასთან დაკავშირებით კურნალ „ეკვოპული“ კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვს.

— ჩემი რწმენით, ფიშერი ერთ-ერთი უდიდესი მოქალაქეა ისტორიაში. მისი დამახასიათებელი თვისება იყო ყველა პარტიაში მოგებაზე თამაში. ერთ-ერთ ტურნირში მეც შევეცადე მსგავსი მანერით მეთამაშა, ეს იყო ნიუ-იორკი, 1983 წელს; მოვიგე ზედიზედ 6 პარტია, მაგრამ შემდეგ შევისვენე. სულ 20 წლისა ვიყავი, ჯან-ღონითა და ენერგიით სავსე. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ყველა პარტიაში მოგებაზე თამაშმა გამოთიშა ფიშერი ქაღალაქიდან. ცხადია, იგი სამუდამოდაა დაკარგული ქაღალაქისათვის. მარჯოთაღია, პარტიებს არჩევს, მაგრამ აღარ შეუძლია შეჯიბრებებში თამაშის დაწყება.

● როგორ შეადგენდით მსოფლიოს 20 უძლიერესი მოქალაქის სიას?

— ფრიად დელიკატური საკითხია. შეგვეძლო ამჟამად მოქმედ რეიტინგების სისტემას მივყოლოდით, რომელიც წელიწადში ორჯერ ცხადდება. მე მაინც სხვა მეთოდს ვარჩევდი: თუ საბჭოთა ნაკრები „დანარჩენ მსოფლიოს ნაკრებს“ შეხვედბოდა, შეიძლებოდა ორივე მხრიდან ათ-ათი კაცის დასახელება.

● რომელმა დიდოსტატმა იმოქმედა თქვენს საქალაქო შეხვედრებების ჩამოყალიბებაში?

— მიყვარს ალიოხინი. მის პარტიებს სისტემატურად ვარჩევ და დიდად ვაფასებ. უდავოა, ჩემს საქალაქო სიჭაბუქეში ალიოხინის სკოლის გავლენის ქვეშ ვიყავი. ვთამაშობდი მისი მანერის მსგავსად, რომელსაც შეიძლება საჭაბუქო უნივერსალიზმი ეწოდოს. შემდეგში საკუთარი სტილი შევქმენი, რომელიც იმავე ალიოხინის პარტიებს ეყრდნობოდა. ვარდა ამისა, ბევრი რამ მომეცა ბოტვინიკის რჩევებში, რომლის სკოლაში 5 წელი გავატარე — 1973 წლიდან 1978 წლამდე.

● როგორ ეწვადებით ხოლმე მსოფლიო პირველობის მატჩებისათვის?

— მიყვარს მზადება საშინაო პირებში. ყველა ვარიანტს კაბინეტურ მუშაობისას ვქმნი, ლაბორატორიულ ატმოსფეროში ვამოწმებ და ვაყალიბებ. ნიუ-იორკში კარპოვთან მეორე პარტიაში ვამოყენებელი ვარიანტი, რომელმაც გამარჯვება მომიტანა, სწორედ ასეთი მუშაობის ნაყოფი იყო. ბევრი დრო შევალოე უსაპნურ პარტიაში შევების დაცვით სისტემების წინააღმდეგ ეფექტური იარაღის გამოხატვას და ამან გაამართლა კიდევ ეს ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო პარტია მთელი საქალაქო კარიერის მანძილზე, მაგრამ, ვიმედოვნებ, ყველაზე უკეთესი არა.

● როგორია ფსიქოლოგიის როლი მსოფლიო პირველობის მატჩებში?

— საიდუმლო არაა, რომ მატჩი მსოფლიო პირველობაზე სრულიად განსაკუთრებული შეჯიბრებაა. როცა რამდენიმე იყო თამაში, არავინ იცოდა, როდის დასრულდებოდა იგი. აქ განსაკუთრებული ფსიქოლოგიური ფაქტორებიც მოქმედებდნენ, რომელთა გაუთვალისწინებლობა სახიფათო შედეგებზე იყო. პირველ მატჩში კასპაროვთან, შეიძლება ითქვას, უფსკრულის პირას ვიყავი. მეტოქე წინ იყო ანგარიშით

5:0, მაგრამ შევეცაღი სამი პარტიის მოგება რასაც მატჩის შეწყვეტა მოჰყვა, ფსიქოლოგიისთან ქრთად ასეთ ორთაბრძოლაში ძალიან დიდ როლს თამაშობს ფიზიკური მზადყოფნა.

● დღეს ბევრს წერენ იმის შესახებ, რომ ჯადრაკი, უპირველეს ყოვლისა, ხელოვნებაა. რას იტყვით ამასზე?

— ჯადრაკი, ისევე, როგორც ცხოვრებაში, სულ სხვადასხვანაირი სილამაზეა. ჯადრაკის დაფასთან შეიძლება ბევრ რამეს მიადლო, ხელოვნება გამოამყდნავს, ფიგურები სულელებს არსებებდა აქციო, შინაარსი მისცე, ხელოვნებაა, როგორც კარგად აღნიშნა სმისლოვმა, ტაქტიკური შეწყობების განხორციელება. ჯადრაკის სილამაზე სწორი გადაწყვეტილებების მიღებაშიცაა. ჯადრაკში მე შხობლავს ხელოვნება, ის კი ადამიანებს, სიბრძნესაც აძლევს და სიხარულსაც.

● რას აკეთებთ თავისუფალ დროს?

აკითხულობ. ეს ჩემთვის ორგვარი პროცესია. ჯერ ერთი, ინფორმაციას ვიღებ და, გარდა ამისა, ვცდილობ მორალურ სრულყოფას მივაღწიო.

საკავშირო პირველობის ფონალური ტურნირები კალათბურთში

სსპ „პარტი“

ცოტა ხნის წინ ვიუწყებოდით, რომ საქართველოს ორმა გუნდმა, კერძოდ „პარტი“ კალათბურთის სკოლის აღსაზრდელებმა, მოიპოვეს საკავშირო პირველობის ფინალის საფურცელი. უფროსებს მხარი აუბეს უმცროსებმა (1975-1976 წლებში დაბადებულებმა), რომლებიც დნეპროპეტროვსკში (კაბუჯები) და შელიტოპოლში (გოგობები) ასპარეზობდნენ. ვაჟები ბრწყინვალედ გამოვიდნენ და ყველა შეხვედრაში გაიმარჯვეს. მათ დაამარცხეს ლატვიის (93:85), ესტონეთის (90:85), ყაზახეთის (83:56), მსკოვის (113:69) და უკრაინის (82:79) ნაკრებები და პირველი ადგილი დაიკავეს (შფრთხელი გივი ჩინჩაიძე). ფინალურ შეხვედრებში ისინი „ოქროს“ ქულით იასპარეზებენ.

შხოლოდ ორი მატჩი დათმეს ჩვენს გოგობებმა — უკრაინისა (56:80) და მოლოვას (51:62) გუნდებთან, მაგრამ დანარჩენ შეხვედრებში იმარჯვეს და დაამარცხეს ლენინგრადის — 62:48, ბელორუსის — 69:61, რუსეთის ფედერაციის — 53:46 გუნდები და მეორე ადგილი ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს (შფრთხელი: შოთა იაქაშვილი, ალექსანდრ სარქისოვი, გოჩა სამხარაძე).

საკავშირო პირველობის ფინალურ ტურებში ჩვენს კალათბურთელებს ადრეც უასპარეზობა, მაგრამ აქ სხვა გარემოებას გინდა გავუსვათ ხაზი — ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენი ერთი სკოლის ორ გუნდს მონაწილეობა მიეღო ასეთ ავტორიტეტულ შეჯიბრებაში. ამასთან, ამჟამ სკოლის კიდევ ორ გუნდს (1977-1978 წლებში დაბადებულებს) ზონალური ტურნირების წარმატებით გავლის შემთხვევაში ფინალში მონაწილეობის შანსი უჩნდება.

საუბარი სიტყვაკუნს „მეფესთან“

მძლეობან ათქვიდელებს სამართლიანად უწოდებენ უნივერსალებს, მაგრამ უნივერსალებსაც ჰყავთ თავიანთი პრემიერები, ფაფორიტები, რომლებიც განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ როგორც გულშემატკივრებში, ისე სპორტსმენთა შორის. წლეულს სალიტში მძლეობანთა ევროპის ჩემპიონატზე უნივერსალო ახალი „მეფე“ ავიდა ტანტზე. ეს ვახლდა 26 წლის ფრანგი, ქალაქ ლიონის მკვიდრი კრისტიან პოლია, ათქვიდე იგი არ არის ახალბედა: სეულის ოლიმპიურ თამაშებზე მესამე იყო, რომში, მსოფლიო ჩემპიონატზე კი მეოთხე. პლაზია საერთოდ სიტყვაკუნსი კაცია და ინტერესულსა იშვიათად იძლევა, ამიტომ გავხუტ „მორგების“ კორესპონდენტთან საუბარს უფრანკოსტა წრებში დიდ მიღწევად მიიჩნევენ:

● როგორ გრძნობთ თავს „მეფის“ როლში?

— თქვენ წარმოიდგინეთ კარგად. ეს განსაკუთრებული გრძნობაა. ყო-

ფილა. სამწუხაროდ, ეს გრძნობა სეულის ვერ განვიცადე, თუმცა ვფიქრობ, ახლოს ვიყავი მიზანთან.

● როგორ გუნებაზე იყავით სალიტში გამარჯვების შემდეგ?

— ეს იყო ძნელი, მაგრამ ჩემთვის მეტად სასატიო გამარჯვებაა. ძნელი იყო იმიტომ, რომ ოქროს მედალი უპირატესად მძაფრ ბძილობაში მოვიპოვე. სასატიო კი იმის გამო, რომ ადრე ამ რანგის ტურნირები არასდროს მომიგია.

● წლეულს თქვენ, თუ არ ვცდებით, ეროვნული რეკორდით გააუმჯობესებთ.

— მართალი ბრძანდებით, ეს მონდა ქალაქ ტალანსში, იქ მე ათქვიდე ჩემში 8525 ქულა დაგავროვე. სალიტში ამ შედეგს ცოტა წვეუმატებს, კი იმას იწინავს, რომ ჩემს მიერ არჩეული წვრთნის მეთოდი პრაგრესიულია და პრაქტიკული. თავის ქება არ მიყვარს, მაგრამ უნდა გითხროთ, 1989 წლის შემდეგ არცერთი შეჯიბრება არ წამიგია.

● როგორ ფიქრობთ, ევროპის ჩემპიონატზე მომდევნო ადგილებიც სამართლიანად განაწილდა?

— მთავარ ფაფორიტად, რა დაგიმალოთ და, ვერმანელ კრისტიან შენს ვთვლიდი. იგი ხომ ოლიმპიური ჩემპიონია? მე მის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ვიყავი განწყობილი, ხელში კი უნგრელი დეჟე საბო შემჩრა. ეს ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი სიუპრარიზი იყო.

● სპორტი თქვენთვის ალბათ პროფესიაა?

— ასეც შეიძლება ითქვას. იმიტომ, რომ სპორტი სულ უფრო მეტად იძენს პროფესიულ თვისებებს. იმას, ვინც უმაღლესი შედეგებისთვის იბრძვის და ცდილობს დაბლა არ დაეშვას, სხვა საქმიანობისთვის დრო აღარ ჰგება.

● თქვენს კარიერაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სპონსორს?

— მართალი გითხროთ ამ მხრივ ბედს ვერ დავეწოდებ. „ადიდასის“ სახით იდეალური სპონსორი მყავს. მაგრამ ასეთი მფარველი რომ არ დაკარგო, მუდმივად ფორმში უნდა იყო. სპონსორს შედეგები სჭირდება, სპორტსმენს — სპონსორის დახმარება. ცხოვრებაში შეუთად არავინ არაფერი იძლევა.

● მომავალზე რას ფიქრობთ?

— ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებით ბარსელონის ოლიმპიადის საფურთხი მოვიპოვე. რა მოხდება მეტე არ ვიცი.

„ადვოკატების დული“ გადაწყვეტს

არ ცხრება დავა ნსლ-ის კლუბ „დეტროიტ რედ უინგსსა“ და შეეცდის ტნობილ გუნდს „იურგორდენს“ შორის. იგი პოკეისტა წლევიანდელი მსოფლიო ჩემპიონატის დროს დაიწყო. „იურგორდენის“ ოცდაორი წლის მოთამაშემ იოჰან გარპენლოვმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „დეტროიტთან“. თავდაპირველად, შეეცდის კლუბს უარი არ უთქვამს, მაგრამ როცა „დეტროიტმა“ მას არ გადაუხდია ტრანსფერული გადასახადი 142 ათასი დოლარის ოდენობით, „იურგორდენმა“ კონტრაქტის გაუქმება მოითხოვა.

„გარპენლოვმა შხოლოდ წლეულს, თებერვალში მოაწერა ხელი „იურგორდენთან“ კონტრაქტს, — თქვა კლუბის პრეზიდენტმა ოკე ბურგელმა. — ცხადია, რომ, თუ ჩვენს ნსლ-ისგან არ მივიღებთ ფულს, მაშინ იგი ჩვენი გუნდის სახელით უნდა გამოვიდეს. ბუნებრივია, „დეტროიტს“ შეუძლია სასამართლოში გვიჩვენოს, მაგრამ ჩვენ ამისი არ გვეშინია. ჩვენც კარგი ადვოკატები გვყავს.“

თავის მხრივ, „დეტროიტი“ ამტყიცებს, რომ „ანონირად მოქმედებს, რადგან ნსლ-სა და შეეცდის პოკეის ფედერაციის შორის არავითარი ხელშეკრულება არ არის დადებული ფულის უშუალოდ კლუბისათვის გადახდის თაობაზე. ჩვენ აკრძალული გვაქვს ფულის უშუალოდ კლუბებისათვის გადახდა. ეს ნსლ-ის პრეზიდენტის ჯონ ზიგლერის გადაწყვეტილებაა გახლავთ, — თქვა „დეტროიტის“ წარმომადგენელმა — ჩვენ ფული ნსლ-ის ხელშეკრულებას გადაუერთებთ. დე, მათ გადაწყვიტონ, როგორ მოიქცენ.“

„დეტროიტი“ გარპენლოვის ჩამოსვლის მოლოდინშია, რომელმაც საგარჯოში ბანკში ყოფნისას რამდენიმე ამხანაგური მატჩი ითამაშა. მის გამოუცხადებლობას კი კონტრაქტის დარღვევად ჩითვლიან.

აღსანიშნავია, რომ თანამემამულეთა ომეოთხების მიუხედავად, შეეცდის პოკეის ფედერაციის თავმჯდომარემ რიჰარდ ფაგერლუნდმა „დეტროიტის“ მხარე დაიჭირა.

„გარპენლოვს პირადი კონტრაქტი აქვს დადებული „დეტროიტთან“, რომლის პირობები უნდა შეასრულოს კიდევ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნსლ-ის კლუბი სასამართლოს მიმართავს, — თქვა მან.

„გარპენლოვს პირადი კონტრაქტი აქვს დადებული „დეტროიტთან“, რომლის პირობები უნდა შეასრულოს კიდევ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნსლ-ის კლუბი სასამართლოს მიმართავს, — თქვა მან.

„გარპენლოვს პირადი კონტრაქტი აქვს დადებული „დეტროიტთან“, რომლის პირობები უნდა შეასრულოს კიდევ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნსლ-ის კლუბი სასამართლოს მიმართავს, — თქვა მან.

„გარპენლოვს პირადი კონტრაქტი აქვს დადებული „დეტროიტთან“, რომლის პირობები უნდა შეასრულოს კიდევ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნსლ-ის კლუბი სასამართლოს მიმართავს, — თქვა მან.

„გარპენლოვს პირადი კონტრაქტი აქვს დადებული „დეტროიტთან“, რომლის პირობები უნდა შეასრულოს კიდევ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნსლ-ის კლუბი სასამართლოს მიმართავს, — თქვა მან.

„გარპენლოვს პირადი კონტრაქტი აქვს დადებული „დეტროიტთან“, რომლის პირობები უნდა შეასრულოს კიდევ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნსლ-ის კლუბი სასამართლოს მიმართავს, — თქვა მან.

„გარპენლოვს პირადი კონტრაქტი აქვს დადებული „დეტროიტთან“, რომლის პირობები უნდა შეასრულოს კიდევ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნსლ-ის კლუბი სასამართლოს მიმართავს, — თქვა მან.

„გარპენლოვს პირადი კონტრაქტი აქვს დადებული „დეტროიტთან“, რომლის პირობები უნდა შეასრულოს კიდევ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნსლ-ის კლუბი სასამართლოს მიმართავს, — თქვა მან.

„გარპენლოვს პირადი კონტრაქტი აქვს დადებული „დეტროიტთან“, რომლის პირობები უნდა შეასრულოს კიდევ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნსლ-ის კლუბი სასამართლოს მიმართავს, — თქვა მან.

შედეგები - მიმოხილვა

● **ორბრის ოლიმპიურ ჩემპიონს** ფიგურულ ციგურაობაში კატარინა ვიტს (გერმანია), რომელიც ამჟამად პროფესიულ რევიუში გამოდის, გადაწყვეტილი აქვს ძალეხი მისიწვას შესამე ოლიმპიურ თამაშებში. ვიტმა განაცხადა, რომ ჩინებულ ფორმაშია და ღრმად არის დარწმუნებული, რომ საერთაშორისო ფედერაცია მისცემს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლებას.

● **მას შეეძვა**, რაც შოტლანდიის ფეხბურთელი კლუბს „გლაზგო რიუნჯერსს“ სათავეში ჩაუდგა გამოცდილი მწვრთნელი და მენეჯერი გრემ სპუნესი, გუნდის ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა. ახლა იგი ბრიტანეთის

ყველაზე შეძლებული კლუბია, რომელიც უცხოეთიდან მოწვეულ ფეხბურთელებს მილიონობით ვარჯანქა სტერლინგს უხდის. „რიუნჯერსს“ ჰყავს საკმაოდ მდიდარი სპონსორები ლუდის ქარხნისა და სპორტული ინვესტირის დამამზადებელი ფირმის სახით.

● **ავსტრალიის** ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულია მოცურავე ქალი დონ ფრე-

ზერი, რომელიც სამი ოლიმპიადის (მელბურნი, რომი, ტოკიო) ჩემპიონი იყო.

● **წალაგარითელთა** საერთაშორისო ტურნირს „ტუნესრამის თასს“, რომელიც უნგრეთის დედაქალაქში მიმდინარეობს, ლიდერობს საბჭოთა ნაკრები, რომელმაც მესამე წრეში საფრანგეთის გუნდი დაამარცხა — 13:9. უნგრელებს სამი ტურის შემდეგ 5 ქულა აქვთ, აშშ-ს ნაკრებს კი 4.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. ნოზაძე, კორექტორები ც. ჩიტოშვილი და მ. ქეძამიძე.

კავშირის ცენტრი
წერალებათვის — 280088,
თბილისი, 4, კახტაძის ქ. 14,
დეკანოზიძის — თბილისი, კავშირი.

რედაქციის კალენდარი
წერალებს განყოფილება — 28-27-55,
სამკაბე — 28-27-52,
ინფორმაციის განყოფილება — 28-27-54,
„მერანი“ — 28-27-20, „მარტვი“ — 28-27-27.

280088
064250
064255

ხეივანელოს კ. ცე-ის გამოცემის შრიტის წითელი დროის ორდენისანი სტამბა, 2800998, თბილისი, შ. კახტაძის ქ. 14,
ბეჭდვის ინტერპრეტი საგარეო კარბუსი: ბონარაძის, 29.
ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდება.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20